ნასყიდობის ხელშეკრულება № LO-NA/54-18/20

ს.ნატახტარი 05.03.2020

I. მხარეები

1.1. ხელშეკრულების მხარეები არიან:

1.1.1 სს "ლომისი", მისი დირექტორის, ერთან კურტ-ის სახით შემდგომში წოდებული როგორც „გამყიდველი",

1.1.2. ი/მ გივი ძაგანია, შემდგომში „მყიდველი"

II. ხელშეკრულების საგანი

2.1 გამყიდველი მყიდველს საკუთრებაში გადასცემს ხმარებიდან ამოღებულ მეორად ნარჩენ ცელოფანს (შემდგომში წოდებული როგორც საქონელი), ხოლო მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს დირებულება და მიიღოს მიწოდებული საქონელი.

III. საქონლის ფასი

3.1. საქონლის ფასია:

ერთი ტონა – 1,70 ლარი დღგ-ს ჩათვლით;

3.2. საქონლის ფასი გადაიხდება საქონლის მყიდველისათვის გადაცემამდე, უნაღდო ან ნაღდი ფორმით.

3.3. მისაწოდებელი საქონლის ზუსტი რაოდენობა დაფიქსირდება მხარეთა შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში.

IV. მხარეთა მოვალეობები

4.1. გამყიდველი ვალდებულია:

4.1.1 გადასცეს მყიდველს საქონელი საკუთარი საწარმოდან მდებარე: მცხეთის რაიონი სოფელი ნატახტარი, „ლუდსახარში ნატახტარი"

4.2 მყიდველი მოვალეა:

4.2.1 გადაიხადოს ნაყიდი საქონლის დირებულება

4.2.2. შეძენილი საქონლის გატანა გამყიდველის საწარმოდან უზრუნველყოს საკუთარი ხარჯითა და ტრანსპორტით, გამყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს მეორე დღისა.

4.2.3. უზრუნველყოს საქონლის გატანისას საკუთარი და გამყიდველის პერსონალის უსაფრთხოება. მყიდველი წარმოადგენს ერთადერთ პასუხისმგებელ პირს საქონლის გატანისას პერსონალის შესაძლო დაზიანების, ტრამვების და სიცოცხლისათვის საშიში რისკებიდან დამდგარ ყველა შედეგზე.

4.3. მყიდველისათვის საქონლის მდგომრეობა ცნობილია და იგი მისაღებია მისთვის.

V. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

5.1. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეების მიერ შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე; მხოლოდ წერილობითი ფორმით.

VI. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, თუ მისი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით. დაუძლეველ ძალად ითვლება საგანგებო გარემოება, რომელიც შეიქმნა მხარეთა ნების გარეშე და რომლის მოქმედებასაც მათ არ შეუძლიათ შეეწინააღმდეგონ. იმ პირობის გათვალისწინებით, რომ შექმნილ სიტუაციაში მათ მიიღეს და გაატარეს ყველა ღონისძება რისი გათვალისწინებაც კი შესაძლებელი იყო.

VII. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 5 მარტიდან მოქმედებს 1 წლის ვადით.
7.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის 20 დღით ადრე შეტყობინების გაგზავნით.

VIII. ხელშეკრულების სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ისეთ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.
8.2. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე შეწყდეს მხარეთა შორის იმავე საგანზე არსებული ყველა სხვა ხელშეკრულება.

IX. მხარეთა რეკვიზიტები

გამყიდველი

ს.ს. „ლომისი"
ს/კ 223236013

მყიდველი

ი/მ გიორგი ძაგანია
ს/კ 01005019904
მის: ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, გოძიაშვილის ქ. 85
ტელ: 599 97 62 20

104989327
GEORGIA, I/E GM DZAGANIA